Mtskheta-Mtianeti Regional Hub

EESTI PAGULASABI – ESTONIAN REFUGEE COUNCIL

estDev
From the people of Estonia

# დევნილი ქალების საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა მეწარმეობის გზით საქართველოში

# SUPPORTING IDP AND CONFLICT-AFFECTED WOMEN’S SUSTAINABLE LIVELIHOODS THROUGH ENTREPRENEURSHIP IN GEORGIA

თემი დაზარალებულ მეწარმე ქალთა ასოციაცია

ესტონეთის ლტოლვილთა საბჭომ და მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ჰაბმა, ესტონეთის საერთაშორისო განვითარების ცენტრის მხარდაჭერით განახორციელა სამეწარმეო პროგრამა “დევნილი და ომით დაზარალებული ქალების საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა მეწარმეობის გზით საქართველოში”.

პროგრამის მიზანი გახლდათ მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში არსებულ ხუთ დევნილთა დასახლებაში (წეროვანი, წილკანი, ფრეზეთი, შავშვები, ხურვალეთი) და ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე ოთხ სოფელში (ოძისი, მჭადიჯვარი, ლამისყანა, ქვემო ჭალა)  ქალების სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, მათი ბიზნეს უნარებისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარების გაძლიერების გზით.

პროგრამის შედეგად, სამიზნე ლოკაციებზე მოხდა ჯამში 20 სტარტაპ ბიზნესისა და 20 არსებული ბიზნესის 3500 და 7000 ლარის ტექნიკური და მატერიალური მხარდაჭერა (სტარტაპი-1000 ევრო, არსებული ბიზნესი-2000 ევრო).  ბიზნეს იდეის დაფინანსებასთან ერთად, შერჩეულ მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაევლოთ 6 თვიანი მენტორინგის პროგრამა და მიეღოთ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რჩევები გამოცდილი კონსულტანტებისაგან.

ქალთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროგრამა 2021 წლიდან მეორედ განხორციელდა სამიზნე ლოკაციებზე და მოიცავდა ტრენინგების სერიებს სამეწარმეო უნარების განსავითარებლად. პროგრამა, ასევე, მოიცავდა ბიზნეს მენეჯმენტის ტრენინგებსა და მენტორინგს, რათა დევნილმა და ომით დაზარალებულმა ქალებმა მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონში შეძლონ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

*საინფორმაციო ბროშურა შექმნილია ესტონეთის საერთაშორისო განვითარების ცენტრისა და ესტონეთის ლტოლვილთა საბჭოს (ERC) მხარდაჭერით, პროგრამის „დევნილი და ომით დაზარალებული ქალების საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა მეწარმეობის გზით საქართველოში” ფარგლებში. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია ა.ა.ი.პ. „მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ესტონეთის განვითარების სააგენტოსა და ესტონეთის ლტოლვილთა საბჭოს (ERC) შეხედულებებს.*

With support of Estonian Center for International Development, the Estonian Refugee Council and the Mtskheta-Mtianeti Regional Hub implemented the program “Supporting IDP and conflict-affected women’s sustainable livelihoods through entrepreneurship in Georgia” Overall goal of the program was to develop the entrepreneurial and transversal skills among women living in five IDP settlements – Tserovani, Tsilkani, Prezeti, Shavshvebi and Khurvaleti – and four Administrative Boundary Line (ABL) villages in Georgia – Odzisi, Mchadijvari, Lamiskana, Kvemochala.

As a result of the program, in total 20 new business ideas and 20 existing businesses were supported in targeted locations with equipment and tools worth up to approximately 3500 and 7000 GEL (1000 and 2000 EUR), respectively. Together with the financial support, selected participants had a chance of a 6-month long mentorship program in order to get proficient advice from the experienced consultants regarding business management.

Since 2021, women’s sustainable livelihood program is implemented for the second time in targeted locations in Georgia and includes series of trainings for entrepreneurial skills development, business management and mentoring in order to improve the living conditions of IDP and war-affected women in Mtskheta-Mtianeti and Shida Kartli regions.

*An information brochure has been developed with the support of the Estonian Center for International Development and Estonian Refugee Council (ERC) as part of the program “Supporting IDP and conflict-affected women’s sustainable livelihoods through entrepreneurship in Georgia”. Responsible for the content of the brochure is N.N.L.E. Mtskheta-Mtianeti Regional Hub (MMRH) and it may not reflect the views of the Estonian Development Agency and the Estonian Refugee Council (ERC).*



## თამარ საჩალელი
## TAMAR SACHALELI

- სამკერვალო სალონი "თამარისი"
- მისამართი:  ქვემოჭალა
- საკონტაქტო: 593 914 078
- FB გვერდი: სამკერვალო სახლი „თამარისი"

ბავშვობიდან მიყვარდა კერვა, რამდენიმე წლის წინ დავიწყე თეთრეულის შეკერვა. ამასობაში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოვიპოვე გრანტი და მათი დახმარებით შევძელი, რომ ჩემი ბიზნესი გამეფართოვებინა.

- Sewing room "Tamarisi"
- Address: Kvemochala
- Number: 593 914 078
- FB: სამკერვალო სახლი „თამარისი"

I have loved sewing since childhood, and started to sew a few years ago. By that time, I got support from this program and I was able to expand my business.



## ნონა ოდიშვილი
## NONA ODISHVILI

- მეცხოველეობა
- მისამართი: ქვემოჭალა
- საკონტაქტო: 593 376 031

2005 წლიდან მაქვს ოჯახური ბიზნესი, ჩვენი ძირითადი საქმიანობა არის მესაქონლეობა, აქამდე ჩვენს მომხმარებლებს ვთავაზობდით მხოლოდ ყველს, თუმცა დღეს უკვე მათ ვთავაზობთ: რძეს, ყველს, კარაქს, ხაჭოს და ნადუღს.

- Livestock
- Address: Kvemochala
- Number: 593 376 031

I have had a family business since 2005, and our main activity was cattle breeding. Until now, we have been offering our customers only cheese, but today we offer them other dairy products.

## ინგა გოგიჩაიშვილი
## INGA GOGICHAISHVILI



- სამკერვალო სალონი
- მისამართი: მჭადიჯვარი
- საკონტაქტო: 592 012 123

ყოველთვის მინდოდა, რომ მქონოდა სამკერვალო, თუმცა ფინანსური პრობლემის გამო არ შემეძლო საჭირო ინვენტარის შეძენა. ამ პროგრამამ, ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა, რადგან მათი ტრენინგების დახმარებით ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება მივიღე და რაც მთავარია, ჩემი სურვილი რეალობად იქცა.

- Sewing room
- Address: Mchadijvari
- Number: 592 012 123

I have always wanted to own a sewing house, but due to financial problems, I could not afford the necessary equipment. This program changed my life for the better because with the help of their training, I gained a lot of knowledge and experience, and most importantly, my dream became a reality.



## მანანა ბურდილაძე
## MANANA BURDILADZE

- კოსმეტოლოგიური კაბინეტი
- მისამართი: ოძისი
- საკონტაქტო: 557 642 885

დაახლოებით 3 წელია, რაც ოძისში გადმოვედი საცხოვრებლად და ვცდილობდი მეპოვნა შემოსავლის წყარო. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის პროგრამის შესახებ რომ გავიგე, გადავწყვიტე დამეწერა ბიზნეს გეგმა და მათი დაფინანსებით შევძელი, რომ კოსმეტოლოგიური კაბინეტი მომეწყო და რამაც ჩემი შემოსავალი გააუმჯობესა.

- Cosmetology room
- Address: Odzisi
- Number: 557 642 885

I moved to the village of Odzisi 3 years ago and I was trying to find a source of income. With the financial support of this program, I was able to set up a cosmetology room, which definitely improved my income.



## იზა ომანაშვილი
## IZA OMANASHVILI

- მეფრინველეობა
- მისამართი: ოძისი
- საკონტაქტო: 599 222 422

სოფელ ოძისში 7 წლის წინ დავსახლდით. მოთხოვნიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მეფრინველეობის განვითარება, წიწილის გამოყვანა და გაზრდა, დამატებითი ტექნიკური საშუალებების შეძენა, რაშიც ძალიან დამეხმარა ეს პროგრამა.

- Poultry
- Address: Odzisi
- Number: 599 222 422

We settled in Odzisi village 7 years ago. Based on the demand in the village, it was really necessary to develop poultry farming and purchase additional technical means. This program supported me to develop my business idea.



## მაია ჩიგოევი
## MAIA CHIGOEVI

- სტომატოლოგიური კაბინეტი
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 599 809 308

პროფესიით ვარ სტომატოლოგი. ჩემი ბიზნეს იდეაც ამ საქმიანობას უკავშირდება. ჩემს მომხმარებლებს ვთავაზობ, თერაპიულ ქირურგიულ მომსახურებას და გათეთრებას.

- Dentist room
- **Address:** Tserovani
- **Number:** 599 809 308

I am a dentist by profession. My business idea is also related to this activity. I would advise all women to study their profession well and take care of their businesses. I offer my customers therapeutic surgical services as well as tooth whitening.





## მაია ბეინაშვილი
## MAIA BEINASHVILI

- მეთევზეობა, კალმახის მოშენება
- მისამართი: ლამისყანა
- საკონტაქტო: 558 919 597

საკალმახე მეურნეობა ოჯახთან ერთად პატარა აუზით დავიწყეთ. პანდემიამდე ბიზნესი წარმატებით ვითარდებოდა, თუმცა შემდეგ იძულებულები გავხდით გავჩერებულიყავით. პროგრამა დაგვეხმარა საქმიანობის ხელახლა დაწყებაში და განვითარებაში.

- Trout Breeding
- Address: Lamiskana
- Number: 558 919 597

I started trout farming with my family. We had a small pond and a farm, but during the pandemic, when everything was closed, we were forced to stop. A few months ago, with this program, I managed to develop my business.

## ვარვარა ზარიძე
## VARVARA ZARIDZE

- ჩირის წარმოება „ძღვენი ბებოსგან"
- მისამართი: ლამისყანა
- საკონტაქტო: 555 769 580

2010 წელს სამაცივრე მეურნეობა გავაკეთე, ვაწარმოებდი მურაბებსა და ჯემებს. ფასების მატებისა და პანდემიის დაწყების გამო, დროებით შევაჩერე ჩემი საქმიანობა, მაგრამ მქონდა სურვილი დამეწყო ჩირის წარმოება. აღნიშნული პროგრამით კი ჩემი ბიზნესი ხელახლა განვავითარე.

- Dried fruit
- Address: Lamiskana
- Number: 555 769 580

I have been producing jams since 2010. Because of the pandemic, I temporarily suspended my activities. But I always wanted to produce dried fruit and this program really supported me in that way.



## ხათუნა მასიკაშვილი
## KHATUNA MASIKASHVILI

- კვების ობიექტი
- მისამართი: ლამისყანა
- საკონტაქტო: 558 584 749

ლამისყანაში არ არსებობდა საცხობი და ვიფიქრე, ამ საქმიანობის წამოწყება გაამართლებდა და ამავდროულად, საინტერესო იქნებოდა მოსახლეობისთვის. ჩემს მომხმარებლებს ვთავაზობ, ძალიან გემრიელ ნაყინს და ასევე გამომცხვარ პროდუქციას.

- Bakery
- Address: Lamiskana
- Number: 558 584 749

Before that, there was no bakery in the village of Lamiskana, and I thought that it would be a good idea to start this activity. I offer very tasty products and ice cream to my customers.





## ნინო ოთინაშვილი
## NINO OTINASHVILI

- პოსტერების სახელოსნო
- მისამართი: შავშვები
- საკონტაქტო: 574 228 847
- FB გვერდი: Sakhelosno Ninsy • სახელოსნო ნინსი

მინდოდა, რომ ჩემი საქმიანობა ხელოვნებასთან ყოფილიყო დაკავშირებული და მეკეთებინა ის, რაც სიამოვნებას მომანიჭებდა და გააბედნიერებდა სხვებსაც. ჩემი საქმიანობა მოიცავს: პოსტერების და ციფრული დიზაინის შექმნას სხვადასხვა პროდუქტების (ჰუდების, ჩანთების, მაისურების) დამზადებას.

- Digital posters
- Address: Shavshvebi
- Number: 574 228 847
- FB: Sakhelosno Ninsy • სახელოსნო ნინსი

I always wanted to do something related to art and having income out of it. It's a nice feeling to see that others are happy with your work. My business activity is to create posters and various digital designs.

## ნათელა ქელეხსაევა
## NATELA KELEKHSAEVA

- სამკერვალო სალონი
- მისამართი: შავშვები
- საკონტაქტო: 599 318 319

აღნიშნული პროგრამა გამოჩნდა პანდემიის დროს მაშინ, როცა მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. დაფინანსების ფარგლებში შევიძინე სამშენებლო მასალები, გავაკეთე ოთახი, რაც აუცილებელი იყო ბიზნესის გაფართოებისთვის.

- Sewing room
- Address: Shavshvebi
- Number: 599 318 319

I heard about the program during the Covid 19. I was funded at two stages. I rennovated the sewing room. I have received funding from several organizations, but this program is special to me.



## იზა ოსიშვილი
## IZA OSISHVILI

- ფერმერი-ინკუბატორიუმი
- მისამართი: ლამისყანა
- საკონტაქტო: 599 988 290

მყავს ბევრი ფრინველი და მაქვს ფართიც. რაც მთავარია, მომწონს მათთან ურთიერთობა და მოვლის პროცესი, ამიტომ გადავწყვიტე რომ გამემრავლებინა ფრინველები. ამ ეტაპზე, ჩემი მომსახურება მოიცავს წიწილის გაყიდვას.

- Poultry
- Address: Lamiskana
- Number: 599 988 290

I have many birds and most importantly, space and motivation to interact with them, so I decided to breed them. At this stage, our service includes selling chicken.





## თამარ ჯალაბაძე
## TAMAR JALABADZE

- ჩამოსასხმელი ნაყინი
- მისამართი: შავშვები
- საკონტაქტო: 568 343 010

ჩვენს სოფელში დიდი მოთხოვნა იყო ჩამოსასხმელ ნაყინზე, ამიტომ გადავწყვიტე ეს საქმიანობა წამომეწყო. აღსანიშნავია, რომ არც ჩემს დასახლებაში და არც ახლომახლო სოფლებში მანამდე არ არსებობდა მსგავსი მომსახურება. მომხმარებელს ასევე ვთავაზობ სხვა პროდუქციასაც (დაფქული ყავა, ბამბის ნაყინი, პოპკორნი).

- Ice cream
- Address: Shavshvebi
- Number: 568 343 010

In our village, there was a big demand for bottled ice cream, so I decided to start this activity. Neither in my settlement nor the nearby villages, there was no such service before. Also, I offer other products like grounded coffee, and the business is really going well.

## ნონა ბეღელური
## NONA BEGHELURI

- მეთხეველობა
- მისამართი: შავშვები
- საკონტაქტო: 555 507 916

ჩემი შვილის იდეა იყო რომ თხები გაგვემრავლებინა და ბიზნესი დაგვეწყო. პროგრამისა და ერთმანეთის დახმარებით უფრო მეტად განვავითარეთ აღნიშნული საქმიანობა. მომხმარებლებს ვთავაზობთ ხორცს, ყველს, რძეს და სხვა ტიპის რძის ნაწარმს.

- Goat cheese
- Address: Shavshvebi
- Number: 555 507 916

My son's idea was to breed goats and start a business and we managed it a few years ago, but with the support of this program, we developed our business activity, and now we offer our customers cheese, milk, meat.



## ქეთევან ჯავახიშვილი
## KETEVAN JAVAKHISHVILI

- ტანსაცმლის სახელოსნო-„მეორე შანსი“
- მისამართი: ხურვალეთი
- საკონტაქტო: 599 032 521
- FB გვერდი: ტანსაცმლის სახელოსნო კაქტუსი/ Clothing Workshop Cactus

მე პროფესიით გრაფიკოსი ვარ, ჩემი და ბიზნესზე სწავლობს და გვინდოდა, საერთო საქმიანობის დაწყება. ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ: ჩვენივე დიზაინის სამოს, მაისურებზე და ჩანთებზე ბეჭდვას.

- Clothing workshop
- Address: Khurvaleti
- Number: 599 032 521
- FB: ტანსაცმლის სახელოსნო კაქტუსი/ Clothing Workshop Cactus

I am a graphic designer by profession, my sister is studying business and we wanted to do something together. We offer our customers: clothes of our design, printing on shirts and bags, etc.



## ციალა ვაზაგოვი
## TSIALA VAZAGOVI

- სასურსათო მაღაზია
- მისამართი: ხურვალეთი
- საკონტაქტო: 598 562 357

ხურვალეთში ჩამოსახლების პირველი წელი ძალიან რთული იყო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.  ამ დროს მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციების დახმარება. გადავწყვიტე, მაღაზიის გაფართოება, რაშიც როგორც ფინანსურად, ასევე ბიზნეს განათლების მიმართულებით, ძალიან დამეხმარა აღნიშნული პროგრამა.

- Shop
- Address: Khurvaleti
- Number: 598 562 357

The first year in Khurvaleti was very difficult for my family and me. Then, I decided to expand my shop, and this program helped me a lot in that regard. I gained a lot of knowledge from them and also, I bought construction materials and half of the inventory. So, I upgraded my shop even more.



## ირინა მაყიშვილი
## IRINA MAKISHVILI

- მეფუტკრეობა
- მისამართი: ხურვალეთი
- საკონტაქტო: 599 116 647

2008 წლამდე ოჯახში, ძალიან ბევრი ფუტკარი გვყავდა. მაგრამ ტანკების შემოსვლის და აფეთქებების შემდეგ, ფუტკრებმა სკები დატოვეს. 2022 წელს მოპოვებული გრანტით შევიძინე საჭირო ინვენტარი. ახლა ხუთი სკა გვყავს, მაგრამ აუცილებლად გავაფართოვებთ და მომხმარებელს შევთავაზებთ ნატურალურ თაფლს.

- Beekeeping
- Address: Khurvaleti
- Number: 599 116 647

Before 2008, we had  lots of bee hives in our family. But during the war and the explosions, bees left the hives. Over time, the hives also became old. After years, I took part in this program and I bought the necessary equipment. Now we have five bee hives, but I will definitely expand them. We always had natural honey and we had a lot of customers.





## თეონა ტერუნაშვილი
## TEONA TERUNASHVILI

- მეფუტკრეობა
- მისამართი: ხურვალეთი
- საკონტაქტო: 551 146 712

ყოველთვის მქონდა ინტერესი მეფუტკრეობა შემესწავლა. ვკითხულობდი წიგნებს და ვცდილობდი გამოცდილების მიღებას. გრანტის შესახებ რომ გავიგე, დავწერე ბიზნეს გეგმა. მინდა, რომ ეს ბიზნესი კიდევ უფრო განვავითარო.

- Beekeeping
- Address: Khurvaleti
- Number: 551 146 712

I was always interested in beekeeping, I read various books about bees, and my mother-in-law taught me  in practice. When I heard about the grant, I wrote a business plan and wanted to start this activity. The business development training was very interesting and I received many useful advice.

## შორენა მჭედლიშვილი
## SHORENA MCHEDLISHVILI

- ესთეტიკური ცენტრი
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 577 483 038
- FB გვერდი: Innova esthetic house

წეროვანში, ესთეტიკური ცენტრი ერთი წლის წინ გაიხსნა,  მანამდე არ იყო შესაძლებელი ლაზერული ეპილაციის პროცედურით სარგებლობა.  სწორედ მოთხოვნიდან გამომდინარე გამიჩნდა სურვილი ამ ბიზნესის წამოწყების, რამაც ნამდვილად გაამართლა ჩემი იმედები.

- Beauty Salon
- Address:  Tserovani
- Number: 577 483 038
- FB: Innova esthetic house

Innova Esthetic House was opened in the Tserovani IDP settlement one year ago. When we settled in Tserovani, we had different shops, but there were so many similar shops. It was necessary to change the business strategy. I thought a lot and finally realized that the most necessary procedure, laser epilation, did not exist in the settlement. From today's point of view, I think that I made the right decision and this program helped me to develop my business even more.





## ნანა ბურდიაშვილი
## NANA BURDIASHVILI

- ხელნაკეთი აქსესუარები “ფთილა”
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 591 332 968

ხელნაკეთი აქსესუარების შექმნა ძალიან მიყვარს. ვაკეთებ თმის სამაგრებს, სამკაულებს, რბილ სათამაშოებს, ქსოვილის ჩანთებს.
პროგრამის დაფინანსებით შევიძინე ტექნიკა, რაც დამეხმარება ბევრად უფრო ხარისხიანი პროდუქცია შევქმნა.

- Handicrafts
- Address:  Tserovani
- Number: 591 332 968

I used to make handicrafts at home, but now my creations are more diverse: hair clips, jewelry, toys, and bags. It’s just that now I have more opportunities to realize my work and realize myself.
Training and funding helped me a lot, I managed to buy equipment and in about a month, I have my workshop place, which is the dream of every creator.

## ნინო შერაზადიშვილი
## NINO SHERAZADISHVILI

- სამკერვალო ატელიე
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 598 333 833

ბავშვობიდან მაინტერესებდა კერვა და გადავწყვიტე, პატარა სამკერვალო გამეხსნა სახლში და ჩემი შემოსავალი გამეზარდა.
გრანტის მიღებამ ჩემი სამკერვალო გააფართოვა, ხოლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებულმა ტრენინგებმა მომცა დიდი ცოდნა და გამოცდილება.

- Sewing room
- Address:  Tserovani
- Number: 598 333 833

I have been interested in sewing since childhood. I decided to open a small sewing room at home and increase my source of income because I could not work elsewhere because of the children.
I learned how to manage my business at the training. Receiving the grant expanded my activities and also increased my income.

## ია კახნიაშვილი
## IA KAKHNIASHVILI



- ყვავილების მაღაზია „იას თაიგული”
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 598 393 829
- FB გვერდი: იას თაიგული . Ia’s taiguli

ყვავილები ძალიან მიყვარს, ამიტომ გადავწყვიტე გამეკეთებინა ყვავილების სათბური.  მომხმარებლები ადგილზე მოდიოდნენ და ადგილიდან ვახდენდი ყვავილების რეალიზებას.
აღნიშნული პროგრამის დახმარებით გავხსენი მაღაზია და განვავითარე ჩემი საქმიანობა.

- Flower shop „Ia’s flowers”
- Address:  Tserovani
- Number: 598 393 829
- FB: იას თაიგული . Ia’s taiguli

I love flowers. As I saw the demand in the settlement, I built the greenhouse, but later on, with this program, I managed to open a small flower shop and develop my business activity.





## დარეჯან ბაშარული
## DAREJAN BASHARULI

- სამკერვალო სალონი “დეა”
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 598 277 325
- FB გვერდი: DEA

გარკვეული პერიოდი მოყვარული მკერავი ვიყავი, თუმცა შემდეგ გადავწყვიტე, რომ გამევლო კურსები და პროფესიონალურ დონეზე შემესწავლა ეს საქმე.
პროგრამამ მომცა შესაძლებლობა რომ შემეძინა საჭირო ინვენტარი და გამეხსნა სამკერვალო, რამაც შესაძლებლობა მომცა უფრო ხარისხიანი პროდუქცია შემეთავაზებინა მომხმარებლისთვის.

- Sewing room “Dea”
- Address: Tserovani
- Number: 598 277 325
- FB: DEA

I loved sewing very much, after the war, I wanted to have my own business and decided to join sewing courses. Then I worked with different designers, but finaly I decided to open a sewing shop in Tserovani. Program really helped me to develop my business.

## გვანცა ბაშარული
## GVANTSA BASHARULI

- სამკერვალო ატელიე
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 595 270 002

წეროვანში არ არსებობდა მოქმედი ატელიე და სწორედ საჭიროებიდან გამომდინარე მივიღე მისი გახსნის გადაწყვეტილება.
ატელიეს მომსახურება მოიცავს, როგორც სადღესასწაულო და ყოველდღიური სამოსის შეკერვას, ასევე მათ გადაკეთებას.

- Sewing room
- Address: Tserovani
- Number: 595 270 002

We didn’t have an active atelier in Tserovani, and I made this decision out of demand. I offer services like sewing and remodeling of clothes.



## ელენე ილურიძე
## ELENE ILURIDZE

- ელექტრო ეპილაცია
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 577 959 796
- FB გვერდი: Electrolysis • ელექტრო ეპილაცია

როდესაც გადავწყვიტე მესწავლა ახალი სპეციალობა, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მქონოდა შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო და თან დავეხმარებოდი ადამიანებს, ვისაც ჭარბთმიანობის პრობლემა აწუხებდათ.

- Electric hair removal
- Address: Tserovani
- Number: 577 959 796
- FB: Electrolysis • ელექტრო ეპილაცია

When I decided to learn a new specialty, it was important for me to have an independent source of income.
I am glad that I opened my little room in a short time. Customers provide positive feedbacks, which gives me more motivation for work and development.





## ნათია ბურდული
## NATIA BURDULI

- სადღესასწაულო გაფორმება
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 597 783 643
- FB გვერდი: სადღესასწაულო გაფორმება წეროვანში

მინდოდა ბიზნესის წამოწყება და ბევრი ფიქრის შემდეგ აღმოვაჩინე რომ, წეროვანში არ იყო სადღესასწაულო გაფორმების მომსახურება, რომელიც დღესდღეობით ძალიან მოთხოვნადია. პროგრამა ფინანსურად დამეხმარა საჭირო ტექნიკისა და მატერიალების შეძენაში.

- Holiday decorations
- Address: Tserovani
- Number: 597 783 643
- FB: სადღესასწაულო გაფორმება წეროვანში

I make various holiday decorations in the Tserovni IDP settlement, which is very much in demand today. When I heard about the program, I wrote a business plan and I got funded which really motivated me.

## თეკლა დავითური
## TEKLA DAVITURI

- კოსტუმების გაქირავება
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 577 755 547
- FB გვერდი: საბავშვო საზეიმო ფორმების და ჩოხების გაქირავება/ყიდვა

აღსანიშნავია, რომ წეროვანში და მიმდებარე სოფლებში, არ არსებობს ბავშვთა გასართობი ცენტრი. მომხმარებლებს ვთავაზობ ფორმებისა და ჩოხების გაქირავების სერვისს და ბავშვთა გასართობ პროგრამებს.

- Renting Uniforms
- Address: Tserovani
- Number: 577 755 547
- FB: საბავშვო საზეიმო ფორმების და ჩოხების გაქირავება/ყიდვა

Idea of starting a business comes from the reality that we live in Tserovani and the surrounding villages. Where there is no children's entertainment center. Such service at the entertainment centers in Tbilisi is expensive and transport takes a lot of time. With this business idea, I wanted to solve one of the important problems of our settlement.





## ანი მახარაშვილი
## ANI MAKHARASHVILI

- დასასვენებელი, საკვები სივრცე (კაფე)
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 555 406 720

ჩემი ოცნება იყო, რომ პატარა კაფე მქონოდა და ჩემს ძმასთან ერთად დავიწყე მიზნის მიღწევისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა. ბევრი რამ შევძელით აგვეშენებინა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ვერ ვახერხებდით დასრულებას. პროგრამის შესახებ რომ გავიგე, დავწერე ბიზნეს გეგმა და გრანტის სახით მივიღე სამზარეულოსთვის საჭირო ინვენტარი.

- Community cafe
- Address:  Tserovani
- Number: 555 406 720

My dream was to have a small cafe, then together with my brother, I started to fulfill this dream. We were able to build many things with our finances, but we could not finalize the work. That's when I heard about the program and decided to try it. Luckily, I managed to buy the equipment for the kitchen.

## ხათუნა გათენაშვილი
## KHATUNA GATENASHVILI

- ბუმბულის ბალიშების განახლება
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 558 605 820
- FB გვერდი: ბალიშების განახლება წეროვანში

წეროვანში არ არსებობდა ბალიშების განახლების სერვისი, დავინახე საჭიროება და გადავწყვიტე ეს ბიზნესი დამეწყო.  ჩემს მომხმარებლებს ვთავაზობ ბალიშების შეკერვისა და განახლების მომსახურებას.

- Pollow renewal
- Address:  Tserovani
- Number: 558 605 820
- FB: ბალიშების განახლება წეროვანში

In the beginning, I needed to renew the pillows for the house, and unfortunately, there was no such enterprise anywhere near. This is how my business idea was born. I have many satisfied customers, both local and from other villages and my service includes the renewal and sew-ing of pillows.





## ხათუნა ჩიქვილაძე
## KHATUNA CHIKVILADZE

- ტიხრული მინანქარი
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 599 706 499

ფინანსური პრობლემის გამო, შევიძინე მეორადი ღუმელი და დავიწყე ტიხრული მინანქრის შესწავლა, თუმცა ღუმელი მალევე გაფუჭდა და ამის გამო შევაჩერე მუშაობა.
ამასობაში, აღნიშნულ პროგრამაში მივიღე მონაწილეობა და მოვიპოვე გრანტი, მათი ფინანსური მხარდაჭერით შევიძინე ღუმელი და აუცილებელი ხელსაწყოები.

- Enamel jewelry
- Address:  Tserovani
- Number: 599 706 499

When I had a financial problem, I decided to find some additional income. At that time, I thought of a second - hand oven for enamel jewelry and started this business.  However, soon the oven did not work well and I stopped working because of that.
In the meantime, I took part in this program and with the financial support, I bought an oven and the necessary tools.

## თათია მელთაური
## TATIA MELTAURI

- ტურისტული კომპანია
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 599 322 195
- FB გვერდი: Magiczny Kaukaz

ტურისტული კომპანია „მაგიჩნი კავკაზ“ 2019 წელს, მე და ჩემმა დამ დავაარსეთ, მაგრამ პანდემიამ შეგვიშალა ხელი. წელს დავიწყეთ მუშაობა და უკვე, ხუთი ჯგუფი მყავდა. ვაკეთებ ტურებს საქართველოს მასშტაბით და ვმუშაობ მხოლოდ პოლონელებთან.

- Tourism agency
- Address:  Tserovani
- Number: 599 322 195
- FB: Magiczny Kaukaz

In 2019, my sister and I founded the tourism company "Magiczny Kaukaz", but the pandemic prevented lots of activities. We started working this year and already I had five groups. I facilitate the tours through Georgia and work only with Polish tourists.



## ნანა გაგაძე
## NANA GAGADZE

- გარდენია
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 568 763 054

2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ჩემს ოჯახს დევნილის სტატუსი მიანიჭეს და ამჟამად, ვცხოვრობთ წეროვანში.
ამ ეტაპზე, 180 - მდე სხვადასხვა წარმოების ვარდს ვუვლი და კმაყოფილი ვარ ჩემი საქმით.

- Gardenia
- Address:  Tserovani
- Number: 568 763 054

After the 2008 war, I and my family live in Tserovani IDP settlement. Currently, I look after about 180 roses of different products and I am satisfied with my work.



## ხატია მელთაური
## KHATIA MELTAURI

- ბეჭდვითი მომსახურება წეროვანში
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 595 700 379
- FB გვერდი: პრინტ ჰაუს წეროვანი-Print House Tserovani

2008 წლის ომის შემდეგ ვცხოვრობ წეროვანში. იდეა გაჩნდა იქიდან, რომ მე თვითონაც მჭირდებოდა ბეჭდვა და ამის გამო ხშირად მიწევდა თბილისში წასვლა, შევიძინე პრინტერი და ფანჯარაზე გავაკარი წარწერა " XEROX".
შემდეგ მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის პროგრამაში მივიღე მონაწილეობა, დავამატე ჭიქაზე და სხვადასხვა სუბლიმაციურ ნივთებზე ბეჭდვა, გავაუმჯობესე მომსახურების ხარისხი.

- Print house
- Address: Tserovani
- Number: 595 700 379
- FB გვერდი: პრინტ ჰაუს წეროვანი-Print House Tserovani

After the 2008 war, I lived in Tserovani. The idea came from the fact that I needed to print some materials for my studies and because of that I often had to go to Tbilisi, I bought a printer and put the "XEROX" sign on the window. It was in 2011 or 2012.
Then I participated in this hub program and improved the quality of service.



## ესმა კენკაძე
## ESMA KENKADZE

- ვერცხლისა და ტიხრული მინანქრის სამკაულების დამზადება.
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 598 205 744
- FB გვერდი: ტიხრული მინანქარი (Georgian cloisonne enamel)

ყოველთვის მომწონდა ტიხრული მინანქრის სამკაულები და მინდოდა რომ კარგად შემესწავლა ეს საქმე. გავიარე ტიხრული მინანქრის კურსები და ჩემი ძალებით შევიძინე საჭირო ინვენტარი, საიდანაც დავიწყე ეს საქმიანობა. შემდგომში კი აღნიშნული პროგრამით გავაუმჯობესე ჩემი პროდუქციის ხარისხი.

- Enamel Jewelry
- Address: Tserovani
- Number: 598 205 744
- FB გვერდი: ტიხრული მინანქარი (Georgian cloisonne enamel)

I liked enamel jewelry and wanted to study it. I joined the enamel courses and bought the necessary equipment with my efforts, from which I started this activity. But later on, with the support of this program, I improved the quality and technical equipment.




## ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲒᲐᲑᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ
## RUSUDAN GABITASHVILI

- მოძრავი კვების ობიექტი
- მისამართი: წილკანი
- საკონტაქტო: 595 748 070

2019 წელს გავაკეთე მოძრავი კვების ობიექტი, თუმცა პანდემიის გამო დროებით შევაჩერე ჩემი საქმიანობა. 2021 წლის ზაფხულში ისევ განვაახლე მუშაობა და დავინახე რომ, ზაფხულის პერიოდში მოთხოვნა იყო ნაყინზე.
სწორედ ამ დროს, აღნიშნულ პროგრამაში, მიღებული გრანტის ფარგლებში დავიწყე ნაყინის რეალიზაცია.

- Food Truck
- Address:  Tsilkani
- Number: 598 205 744

In 2019, I started the business of Food Truck, but due to the pandemic, I temporarily stopped my activities. In the summer of 2021, I resumed my work and saw that there was a demand for ice cream during the summer.
At that time, I got involved in this program and received a grant, I bought an ice- cream machine.



## ᲚᲘᲐ ᲙᲝᲑᲐᲣᲠᲘ
## LIA KOBAURI

- ნახევარფაბრიკატების წარმოება
- მისამართი: წილკანი
- საკონტაქტო: 555 100 062

წარმოშობით მთიული ვარ და მიყვარს ხინკლის კეთება, ყოველთვის მინდოდა მქონოდა პატარა საწარმო, სადაც შევძლებდი საკუთარი პროდუქციის წარმოებას.
აღნიშნული პროგრამის დახმარებით მივიღე ინფორმაცია და ტექნიკური მხარდაჭერა ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისთვის.

- Semi-finished products
- Address:  Tsilkani
- Number: 555 100 062

I love to make khinkali, I always wanted to have a small enterprise where I could produce khinkali.
With the help of Mtskheta-Mtianeti regional hub training, I got information about how to start and develop my business.

## ᲜᲐᲗᲘᲐ ᲡᲐᲠᲥᲘᲡᲘᲐᲜᲘ
## NATIA SARKISIANI



- მეფრინველეობის მცირე ფაბრიკა
- მისამართი: წილკანი
- საკონტაქტო: 598 220 969

მეფრინველეობის დარგში მაქვს 12 წლიანი გამოცდილება, ძალიან მიყვარს ეს საქმე და უკვე კარგად ვიცი როგორ ვმართო ჩემი ბიზნესი. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მოთხოვნაა ამ პროდუქციაზე და წლებთან ერთად წარმატებით ვითარდება ჩემი საქმიანობა.

- Poultry
- Address: Tsiklani
- Number: 598 220 969

I have 12 years of experience in poultry farming and I know how to manage my business well.
I love this job very much. It should be noted that there is a great demand for this product and my business is developing successfully over the years.





## თეა მზარეულოვი
## TEA MZAREULOVI

- სამკერვალო
- მისამართი: ფრეზეთი
- საკონტაქტო: 599 384 527

კერვა ბავშვობიდან მიყვარს. ამ საქმიანობით ვიყავი დაკავებული, მაგრამ საკერავი მანქანა გამიფუჭდა და ხელით მიწევდა სამუშაოს უმეტესი ნაწილის შესრულება.
აღნიშნული პროგრამის შესახებ რომ გავიგე, ძალიან გამიხარდა, მივიღე მონაწილეობა, მოვიპოვე გრანტი და შევიძინე საკერავი მანქანა.

- Sewing room
- Address: Prezeti
- Number: 599 384 527

I have loved sewing since childhood. I worked on sewing, but my sewing machine was not properly working anymore, so I had to do most of the work by hand.
When I heard about this program, I felt very motivated, I participated and won a grant, and bought a sewing machine.

## დარეჯან თათარაშვილი
## DAREJAN TATARASHVILI

- ავეჯის წარმოება
- მისამართი: წილკანი
- საკონტაქტო: 591 101 644

ყოველთვის მქონდა ინტერესი, ისეთი საქმიანობების მიმართ, როგორიცაა: შენება, ლესვა, ხელოსნობა. მოგვიანებით, ავეჯის წარმოება შევისწავლე და საქმიანობად ვაქციე, რისი კეთება და რაზე მუშაობაც ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის.

- Furniture
- Address: Tsiklani
- Number: 591 101 644

I have always had an interest in such activities as construction and crafts. Later, I studied furniture production and turned it into an activity that I enjoy doing and working on.



## ნანა კვიწინაძე
## NANA KVITSINADZE

- ბერძნული თონის პური
- მისამართი: ფრეზეთი
- საკონტაქტო: 591 004 425

მქონდა თონეში მუშაობის გამოცდილება და მინდოდა თონე გამეკეთებინა, მაგრამ, რა თქმა უნდა, საკუთარი სახსრებით ვერასდროს შევძლებდი. ამ პროგრამამ კი, ოცნება ამისრულდა და კიდევ უფრო დიდი სტიმული მომეცა.

- Bread Bakery
- Address: Prezeti
- Number: 591 004 425

I always wanted to start my bakery business, but of course, I could never do it with my finances. This program fulfilled my dream and gave me even more motivation.





## ქეთევან ყულჯანიშვილი
## KETEVAN KULJANISHVILI

- რბილი ავეჯის ქიმწმენდა
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 593 108 575
- FB გვერდი: ქიმწმენდა წეროვანში

2008 წლის ომის შემდეგ ვცხოვრობთ წეროვანში. პროგრამის შესახებ რომ გავიგე, დავწერე ბიზნეს გეგმა და მოვიპოვე გრანტი, რისი დახმარებითაც შევიძინე ქიმწმენდის აპარატი და განვავითარე ჩემი საქმიანობა.

- Drycleaning
- Address: Tserovani
- Number: 598 205 744
- FB: ქიმწმენდა წეროვანში

After the 2008 war, we lived in the Tserovani IDP settlement. When I heard about the program, I wrote a business plan and got a grant, with the help of which I bought a dry cleaning machine and developed my business.

## ვერა ხუბულოვი
## VERA KHUBULOVI

- სამკერვალო
- მისამართი: ხურვალეთი
- საკონტაქტო: 577 534 409

სოფელ ხურვალეთში ვცხოვრობ 40 წელია. ახალგაზრდობაში შევისწავლე ჭრა-კერვა, თუმცა ამ საქმიანობას ვერ გავყევი, რადგან არ მქონდა კარგი საკერავი მანქანა. ძალიან მინდოდა რომ ეს საქმიანობა გამეგრძელებინა და მივიღე მონაწილეობა პროგრამაში. გრანტის მიღების შემდგომ შევიძინე საკერავი მანქანა და დავუბრუნდი ჩემს საყვარელ საქმიანობას.

- Sewing room
- Address: Khurvaleti
- Number: 577 534 409

I have been living in Khurvaleti ABL for 40 years. In my youth, I learned sewing, but I could not continue, as I had no proper technical equipment. After the program, I bought a sewing machine and now I am doing my favorite activity.



## ნარგიზა ტატუნაშვილი
## NARGIZA TATUNASHVILI

- სამკერვალო
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 598 186 362

ძალიან მიყვარს კერვა, მაგრამ იმის გამო, რომ არ მქონდა ფინანსები ვერ ვყიდულობდი საკერავ მანქანას. მიხარია, რომ პროგრამის ფარგლებში მივიღე დაფინანსება და ორგანიზაციის დახმარებით შევიძინე საჭირო ინვენტარი.

- Sewing room
- Address: Tserovani
- Number: 598 186 362

I love to sew, but because of the fact that I didn't have enough finances, I couldn't buy a sewing machine. I am happy that I received funding within the framework of this program.



## ნინო თიგიშვილი
## NINO TIGISHVILI

- აგროტურიზმის განვითარება
- მისამართი: ოძისი
- საკონტაქტო: 557 269 295
- FB გვერდი: თიგის სახლი • Tigi’s home

ყოველთვის მინდოდა რომ ჩემი ბიზნესი მქონოდა, თუმცა მეგონა რომ ეს ყველაფერი დიდ ფინანსურ რესურსებთან იყო დაკავშირებული. ერთ დღესაც ჩემმა თანამშრომლებმა აღმომაჩენინეს, რომ რესურსი უკვე მქონდა და ეს ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო. ასე შეიქმნა ჩემს სოფელში ოჯახისთვის მამას მიერ მოგროვილი მცენარეებისგან, მცენარეული ჩაის მიქსები და შემდეგ დაიწყო “თიგის სახლის”, როგორც საოჯახო ბიზნესის ისტორია.

- Agrotourism
- Address: Odzisi
- Number: 557 269 295
- FB: თიგის სახლი • Tigi’s home

I always wanted to have my own business, although I thought it was connected to serious financial resources. Because of this, I waited for a long time to gather proper resources. My coworkers made me realize that I already had the resources and it was my daily activity.
This is how the history of “Tigi’s home” as a family business was created.




## ნათია მაისურაძე
## NATIA MAISURADZE

- რკინის საამქრო წეროვანში
- მისამართი: წეროვანი
- საკონტაქტო: 598 244 842

იქიდან გამომდინარე, რომ უკვე მქონდა რკინის კონსტრუქციებზე მუშაობის გამოცდილება, გადავწყვიტე, რკინის საამქროს გაკეთება.
პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით შევიძინე საჭირო დანადგარები, ამ ეტაპზე ვიღებ შეკვეთებს და ვაწარმოებ სხვადასხვა სახის ავეჯს.

- Iron workshop
- Address: Tserovani
- Number: 598 244 842

I settled in Tserovani after the 2008 war, in December. We didn’t have the necessary furniture at home, so my husband and I decided to make everything we needed ourselves. This is where my business idea came from. Program helped me to develop my business. I bought the necessary equipment, we are producing different types of furniture according to the order.

**ა.ა.ი.პ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი**
**N.N.L.E. Mtskheta-Mtianeti Regional Hub**

წეროვნის დევნილთა დასახლება, რიგი 12, კოტეჯი 1963
Tserovani IDP Settlement, row 12, cottage 1963
hubmtskheta@gmail.com
http://www.ybf.org
+995 599 410 250